



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი**  
**MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY**

N 25/29737  
 09/12/2019

29737-25-2-201912091150



**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, 2019 წლის 06 დეკემბრის მდგომარეობით:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით, გარკვეულ მუშაობას ატარებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად. დადგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციისა და არქივის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე ([www.batumi.ge](http://www.batumi.ge)) და საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი, სამსახურებრივი ინსტრუქცია და საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“.

2019 წლის 06 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 1082 მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. ამათგან, 1066-ზე (16 დამუშავების პროცესშია) გაცემულია საჯარო ინფორმაციები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით. გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელი თანხა შეადგენს 2368,10 ლარს. ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმას, შესაბამისად, გასაჩივრების ფაქტებიც არ დაფიქსირებულა.

ლაშა კომახიძე

*ლ. კომახიძე*

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი



